



საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

11 აპრილი 2011 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 45

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ღ“, „ს“ და მე-10¹ (პრიმა) მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად:

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ გამარტივებული შესყიდვის დაუყოვნებლივ განხორციელების აუცილებლობიდან გამომდინარე, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ (პრიმა) მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოახდინოს საქონლის გამარტივებული შესყიდვა გამგეობის მუნიციპალური ქონების მართვის და ეკონომიკისა და საინვეტიციო გარემოს განვითარების სამსახურებისათვის საჭირო კომპიუტერული ტექნიკის შეძენა, ღირებულებით 670 ლარი.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი სიორიძის ქ.№14).

3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

აღეკო მამეშვილი